# გარდატეხის ასაკთან გამკლავება

გარდატეხის ასაკში მოზარდები ისე გრძნობენ თავს, თითქოს „ამერიკული მთების“ სახელით ცნობილ ატრაქციონზე ისხდნენ, რაც ყოველთვის არ იწვევს სასიამოვნო გრძნობებს. რა დაგეხმარება ამ დროს? წაიკითხე კომენტარები და უპასუხე ქვემოთ მოცემულ კითხვებს.




## 1

რა გრძნობები გეუფლება გარდატეხის ასაკში

ალტაცება, შიში თუ ორივე ერთად?

რა არის ყველაზე მტკივნეული ამ დროს შენთვის?

## 2

წამდაუწუმ გეცვლება ხასიათი გარდატეხის ასაკში? თუ ასეა, რა შეგრძნებები გეუფლება?

როგორ უნდა მოიქცე, რომ შეძლო საკუთარი ემოციების გაკონტროლება?






www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania

## 3

როგორ აისახა გარდატეხის ასაკი შენს გარეგნობაზე?

როგორი დამოკიდებულება უნდა გქონდეს ამ დროს საკუთარი გარეგნობის მიმართ?



„გარდატეხის ასაკში განზრახ ვიხრებოდი წელში და დიდი ზომის ზედებს ვიცვამდი. მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, რატომ ხდებოდა ჩემს ორგანიზმში ცვლილებები, მაინც უხერხულად ვგრძნობდი თავს. ეს ძალიან უჩვეულო გრძნობა იყო“ (ჯენისი).

„ბიჭები აღარ მაღიზიანებდნენ. ზოგიერთი მათგანი ჩემთვის მიმზიდველიც კი გახდა და იმასაც კი ვფიქრობდი, რომ თუ მათგან ვინმე შემიყვარდებოდა, სულაც არ იქნებოდა ცუდი. ხშირად დავიწყე იმაზე ლაპარაკი, თუ ვის ვინ მოსწონდა“ (ალექსისი).



## 4

როგორი დამოკიდებულება გაქვს გარდატეხის ასაკში საპირისპირო სქესის მიმართ?

ბიბლიაში ვკითხულობთ: „გაექეცით სიძვას“ (1 კორინთელები 6:18). რატომ არის ეს მითითება გონივრული და როგორ უნდა მოიქცე, ამ მითითების თანახმად რომ იცხოვრო?



www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania




## 5

მაშინაც კი, თუ უხერხულობას გრძნობ, რატომ არის კარგი, თუ საკუთარ გრძნობებს, რომლებიც გარდატეხის ასაკში გეუფლება, მშობლებს ან სხვა უფროსი ასაკის ადამიანს გაანდობ? (**წაიკითხე იგავების 17:17**).

უფროსებს შორის ყველაზე მეტად ვის შეგიძლია ენდო და ესაუბრო საკუთარ გრძნობებზე?

## 6

როგორ გეხმარებიან მშობლები, რომ გაუმკლავდე გარდატეხის ასაკს?

კიდევ როგორ დახმარებას ისურვებდი მშობლების მხრიდან?





www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania




**7** რას ურჩევდი მას, ვისაც მალე დაეწყება გარდატეხის პერიოდი?

# ჰკითხე მშობლებს

იყო დრო, როცა შენმა მშობლებმა მსგავსი ცვლილებები განიცადეს გარდატეხის ასაკში. რა ორ კითხვას დაუსვამდი მათ იმის თაობაზე, თუ როგორ გაუმკლავდნენ გარდატეხის ასაკს. დაწერე ეს კითხვები ქვემოთ მოცემულ ჩარჩოებში, ამოჭერი ისინი და აჩვენე მშობლებს.

**1**

**2**




www.jw.org © 2016 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania